

სხელი სარსბული

391 (22) 3 დეკემბერი, 2018 წ.

ჩემო ჭკვიანო და გონიერო ხარაგაულელებო! მინდა, თქვენთან ერთად მივულოცო საქართველოს სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება.

რთული მისახვედრი არაა, რას იტყვის ისტორია თქვენზე, მოვა დრო, როცა თქვენს გონიერულ არჩევანს თაობები შეაფასებენ.

ჩვენ ყოველთვის სამშობლოს სიყვარულის ენით გესაუბრებით და დიდი მადლობა იმისთვის, რომ სწორად და ზუსტად გაიგეთ საქართველოს მთავრობის გზავნილი. ყველა დაპირება, რომელიც გაიცა პარტიის თავმჯდომარის, ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობის მხრიდან, იქნება შესრულებული. ბევრი ძალიან კარგი პროექტი დავინყვით, რომელიც ყველა თქვენგანს, ვიცი, არ შეხებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გჯერათ ჩვენი გულწრფელობის და გაქვთ მომავლის იმედი.

ძალიან სასიამოვნოა იმის განცდა, როცა ვფიქრობ,



რა წვლილი შეიტანეთ თითოეულმა ხარაგაულელებმა, რათა მუნიციპალიტეტში ასეთი მაღალი შედეგი მიგვეღწია.

ხშირად მოვდივარ თქვენთან და გეუბნებით, რომ ჩვენი ურთიერთობა ნდობაზეა დაფუძნებული. გპირდებით, გავამართლებთ ამ ნდობას და ერთად გავხდებით სასიკეთო ცვლილებების მომსწრე. სახელმწიფოს ხელშეწყობით ბევრ საჭირო, სასიკეთო და სასარგებლო პროექტს გავაკეთებთ ხარაგაულისთვის!

მადლობა, რომ გვისმენთ და აკეთებთ სწორ ანალიზს. სიბრძნე თქვენშია, თქვენ ხართ ხელისუფლების წყარო და ეს გამარჯვებაც თქვენ გეკუთვნის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი ჰყავს.

დიდი პატივისცემით ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურაძე

საქართველოს მთავრობის დადანიშნული 600 000 - ზე მოქალაქის სახანო დახმარება გაუწევა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრილ 600 000-ზე მეტ მოქალაქეს სახანო დახმარება გაუწეულდება. საუბარია ჯამში მილიარდ-ნახევარ ლარზე, რომელსაც ფონდი „ქართუ“ გამოისყიდის და ბიუჯეტიდან ფული არ დაიხარჯება.

აღნიშნული პროცესი 15 დეკემბერს დაიწყო და 31 დეკემბერს დასრულდება. შეიქმნება სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც მოქალაქეები საკუთარი მონაცემების გადამოწმებას და იმის გაგებას შეძლებენ, გაუწეულდათ თუ არა სესხი. აღსანიშნავია, რომ 3 დეკემბრიდან ვებ-გვერდი ყველა-სათვის ხელმისაწვდომი იქნება და პირადი მონაცემები დაცული იქნება.

შეგახსენებთ, ამ სერვისით ის ადამიანები ისარგებლებენ, რომელთაც 2 ათას ლარამდე სესხი აქვთ აღებული და ვალს ვერ იხდიან.

საქართველოს მოსახლეობამ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 6 წლის ვადით მე-5 პრეზიდენტი აირჩია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეებმა პრეზიდენტი პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩიეს. ახალი კონსტიტუციით, რომელიც ძალაში ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე შევა, პრეზიდენტს 300-წევრიანი საარჩევნო კოლეგია აირჩევს. ცესკოს წინასწარი მონაცემებით, ხმათა უმრავლესობა (59,54%) სალომე ზურაბიშვილმა მიიღო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ - 40,46 %. რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, ხმები ასე გადანაწილდა: სალომე ზურაბიშვილი 64,46%, გრიგოლ ვაშაძე 35,54 %.

სალომე ზურაბიშვილი 1952 წლის 18 მარტს დაიბადა პარიზში, ქართველი ემიგრანტების ოჯახში. 1972 წელს დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 1973 წელს - კოლუმბიის უნივერსიტეტი, ხოლო 1981 წელს — პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა. დიპლომატიური კარიერა დაიწყო 1974 წელს რომში (კირინალი) საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივნის თანამდებობით. 1977-1980 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ-იორკი) საფრანგეთის მულტიმედი მისიის მეორე მდივნის თანამდებობაზე. 1980-1984 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელი იყო. ზურაბიშვილი გახლდათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2004



წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე, ასევე საქართველოს პარლამენტის მთაწმინდის ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი.

საჩუქრის იაპონიის ახალი სტატიონი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის იაპონიის ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა სტუმრობდა. ელჩს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ უმასპინძლეს. ტადაჰარუ უეჰარას ვიზიტი ხარაგაულში რამაზ ბლუაშვილის მონაწილეობით შედგა.

ვიზიტის ფარგლებში იაპონიის ელჩმა ისტორიული მუზეუმი დაათვალიერა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სალანძილში სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სალანძილის საჯარო სკოლას დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. იუბილეს აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ბალდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, იაპონიის ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, რეჟისორი რამაზ ბლუაშვილი და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე დაესწრნენ.

ღონისძიებაზე სკოლის დირექტორმა ვარდო ჭიპაშვილმა მიმოიხილა ამ უძველესი სასწავლო დაწესებულების განვითარების ისტორია, ისაუბრა ყველა იმ სიახლესა და ინოვაციურ პროექტებზე, რომლებიც სკოლაში ხორციელდება.

მოსწავლეებმა გაიხსენეს ღვაწლმოსილი პედაგოგები, ყურადღება გაამახ-

სალანძილის საჯარო სკოლა 100 წლისა



ვილეს ასევე სკოლის კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც არაერთ წარმატებას მიაღწიეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს წინსვლა-განვითარებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სალანძილის სკოლამ მრავალი ცნობილი და სახელგანთქანი მოქალაქე აღზარდა ქვეყანას. სადამოუკიდებლობის მოსწავლეთა მონაწილეობით ნაჩვენები იქნა რამდენიმე ქორეოგრაფიული ნომერი, გარდა ამისა, შესრულდა პატრიოტულ თემებზე შექმნილი სიმღერები და ნაკითხულ იქნა ლექსები.

სალანძილის საჯარო სკოლა ოთხი სოფლის - სალანძილის, ზარნის, ვანისა და სხლითის ახალგაზრდების აღზრდა-განათლებას ემსახურება. ამ ადგილას 1936 წლამდე არანაირი ნაგებობა არ მდგარა, მხოლოდ ხშირი ტყით დაფარული გორა ყოფილა. 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად დაიწყო მუშაობა საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაარსებლად. სწორედ იმ პერიოდში გაიხსნა ოთხნობიანი შრომის სკოლა, რომელიც 1934 წელს არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, 1991 წელს კი - საშუალო. რაც შეეხება მოსწავლეთა კონტინენტს, ყველაზე დიდი რაოდენობა 1946-1955 წწ. ყოფილა (360 მოსწავლე). სამწუხაროდ, მიგრაციის ზრდასთან ერთად მათი რაოდენობა ამჟამად შემცირებულია. 2002-2003 წწ. საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ამჟამად სკოლაში არაერთი ღირსეული პედაგოგი მოღვაწეობს, მათ შორის 12 სერტიფიცირებულია.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ჩემთვის პრიორიტეტი ახალგაზრდებზე მრუნვაა



რამდენიმე კვირაა, რაც ხარაგაულის მერის თანაშემწედ ლაშა გელაშვილი დაინიშნა. აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც შალვა ბენდიაშვილმა სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

ლაშა საკმაოდ მოტივირებული და წარმატებული ახალგაზრდაა, რომელიც აქტიურადაა ჩართული საკუთარი იდეებითა და ხედვებით ხა-

რაგაულის წინსვლასა და განვითარებაში. მან საშუალო განათლება წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში მიიღო, რის შემდეგაც სწავლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ფინანსების კუთხით განაგრძო. რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2013 – 2014 წწ. სტაჟირებაზე იმყოფებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. 2015 – 2017 წწ. გახლდათ ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე. იგი არის ერთ - ერთი დამფუძნებელი ა/ო „ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირის.“

რა გეგმები აქვს და რა ფუნქცია-მოვალეობები დაეკისრა მერის თანაშემწეს, ამის შესახებ პირადად გვესაუბრება.

-ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა, იყო მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე და იმ გუნდის წევრი, რომელიც კვალიფიციურობითა და მოსახლეობის მიმართ პასუხისმგებლობის გრძობით გამოირჩევა. ვთვლი, რომ საინტერესო ვითარებაში მინევეს მუშაობა და ამავდროულად ბევრი სიახლის სწავლის შესაძლებლობა მეძლევა. ვფიქრობ, ეს თანამდებობა საშუალებას მომცემს, ბევ-

რი კარგი გავაკეთო ხარაგაულისთვის. მიხარია, რომ მუნიციპალიტეტში ბევრი საინტერესო სიახლე დაგეგმილი და, პირადად, ამ პროცესების თანამონაწილე ვარ.

-რა არის თქვენი ძირითადი მოვალეობა?

-მერის თანაშემწის ძირითადი საქმიანობის გარდა, ვმუშაობ სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელ კომისიაში, რომელიც ადგილზე შეისწავლის დაზიანებულ სახლებს და დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ანიჭებს კატეგორიას. პროგრამის ფარგლებში, დაზარალებული მოქალაქეები მერიისგან იღებენ ერთჯერად დახმარებას.

ამის გარდა დაეინყეთ საინვენტარიზაციო საკითხებზე მუშაობა. უახლოეს მომავალში შემომდებია და აღინერება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონება.

-გარდა ძირითადი უფლება-მოვალეობისა, აპირებთ თუ არა სხვა მიმართულებითაც მუშაობას?

-ძირითადი უფლება - მოვალეობების გარდა აუცილებლად გავაგრძელებ მუშაობას ხარაგაულელ ახალგაზრდებთან. გეტყვით, რომ ცოტა ხნის წინ მუნიციპალიტეტში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი,

რომელიც მუშაობს სხვადასხვა პროექტზე. მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტში არის ახალგაზრდული პროგრამების მუხლი და საინიციატივო ჯგუფმა დასაფინანსებლად მერიაში წარადგინა 8 პროექტი. ერთ-ერთი პროექტი, რომელზეც მუშაობა უკვე დაწყებულია, ეხება ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს. როგორც იცით, სამუზეუმო ექსპონატებს თან ახლავს ანოტაციები, რომლებიც მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზეა. საინიციატივო ჯგუფმა, მუზეუმის ადმინისტრაციასთან ერთად, დაიწყო მათი ინგლისურ და გერმანულ ენებზე თარგმნა. პროექტის განხორციელების შემდეგ მუზეუმის უცხოელ სტუმრებს საშუალება ექნებათ, ექსპონატების ანოტაციები ოთხ: ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე იხილონ. თარგმნაზე მუშაობა მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყება, რომლისთვისაც საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოხილვებულია.

-გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე...

-არსებულ მომენტში ძალიან შორს არ ვიხედები. თუმცა ერთი ვიცი, მუშაობის პერიოდში მინდა, მაქსიმალურად „დავიხარჯო“, რათა შეეძლოს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ღირებული, თუნდაც მცირედი სიკეთეები და მონაწილეობა მივიღო მის განვითარებაში.

თამარ მაღრაძე

სკოლაში აღზრდა-განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში და ის ჩვენი სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტია.

სკოლამდელი ასაკის მოზარდთა აღზრდა-განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში და ის ჩვენი სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი გავითვალისწინეთ, მაგრამ 2007 წელს ჩატარებულმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შეფასებამ აჩვენა, რომ საჭირო იყო მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. უკანასკნელ პერიოდამდე საბავშვო ბაღების პედაგოგთა გადამზადების სისტემა სათანადოდ განვითარებული არ იყო, არ არსებობდა თანამედროვე მეთოდოლოგია და ერთიანი სტანდარტი. 2016 წელს მთავრობამ მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელიც აწესრიგებს საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას. ამ კანონის საფუძველზე, შემუშავდა სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი. ახალი მიდგომით დადგინდა, თუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ აღმზრდელ-პედაგოგები და როგორ უნდა იყოს ხარისხიანი ბაღი ყველა ბავშვისთვის.

2024 წლის პირველი სექტემბრიდან დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგის მიმართ მოთხოვნები მკაცრდება. სავალდებულო ხდება უმაღლესი განათლება და აუცილებელი იქნება თითოეულმა მათგანმა გაიაროს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგი. განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ტრენინგ-პროგრამა სახელმწიფო-საპროგრამო პროფესიული მომზადების საბაზო კურსი-საქართველოს მასშტაბით სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მეთოდისტიკა უკვე გაიარეს. ვინ და როგორ მიიღებს აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს ბავშვბაღებში და რა სიახლეები იწვევს სკოლამდელი განათლების სისტემაში, ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სასწავლო-სააღმზრდელი პროგრამების მეთოდისტიკა თამარ ავალიშვილი გვესაუბრება. ქალბატონმა თამარმა ახლახან გაიარა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული და სასიხარულოა, რომ



ტესტირებისას უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

-პირველ ეტაპზე გადამზადება ბავშვის მეთოდისტიკისთვის დაიგეგმა. ძალიან საინტერესო და საჭირო სამკვირიანი ტრენინგი გავიარეთ ქუთაისის მასწავლებელთა სახლში, რომლის მიზანი იყო, თუ რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ აღმზრდელი 21-ე საუკუნეში. საფუძვლიანად გავიცანით ადრეული ასაკში ბავშვის სწავლისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს. ვიმუშავეთ მათში შემავალ ძირითად საკითხებზე. კურსი მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორებიცაა: ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ადრეული განათლების ფსიქოლოგია, საგანმანათლებლო გარემო, ხარისხიანი განათლების პროგრამის დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება, მშობლებთან ურთიერთობა და სხვა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებმა სრულფასოვნად უნდა იცოდნენ „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ კანონი, ბავშვთა უფლებების კონვენცია, აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული სტანდარტი, ხარისხიანი სკოლამდელი ინკლუზიური განათლება და თუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს უნდა იქონიებდნენ სკოლამდელი აღმზრდელი და სწავლებლები. სიახლე იყო ჩვენთვის უნივერსალური დიზაინის თემა, რომელსაც ტრენინგზე დიდი დრო დაეთმო. ამ სიტყვების მნიშვნელობა უცხო არაა, მაგრამ განათლების სფეროში სულ სხვა დატვირთვა შეიძინა. ეს

ნიშნავს სასწავლო და ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის.

ტრენინგების გავლის შემდეგ ჩვენი ვალდებულება იყო, ეს სიახლეები მიგვეტანა თითოეულ აღმზრდელამდე, რათა მათ შემდგომ უფრო გაუადვილდეთ პროფესიული ტრენინგის გავლა. ეს არის აუცილებელი ვალდებულება, რათა სამომავლოდ მათ შეძლონ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მიღება.

- როგორც იცით, გაერთიანებაში შემავალი ბავშვის აღმზრდელისთვის ტრენინგების ჩატარება დაიწყეთ. როგორ ხვდებიან სიახლეებს?

-10 ოქტომბრიდან სემინარები ჩატარებულა ხარაგაულის სკოლამდელი გაერთიანების ყველა აღმზრდელისთვის, ეტაპობრივად ჩაერთვებიან გამგეები და აღმზრდელის თანაშემწეები. ძალიან საინტერესოა წარმოართა თითოეული შეხვედრა. მიხარია, რომ აღმზრდელები საკმაოდ მოტივირებული არიან და ინტერესით ხვდებიან სიახლეებს. რაც ყველაზე მთავარია, თითოეულ ჩვენგანს გაცნობიერებული უნდა გვექონდეს, თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე, ეს ფენომენია სწორედ ბავშვი, რომლის თავის ტვინის 90%-ი აქტივირება 0-დან 5- წლამდე ასაკში ხდება. ჩვენი მთავარი მიზანი ბავშვის ჰოლისტურ ანუ მრავალმხრივ განვითარებაზე მრუნვა უნდა იყოს. სტანდარტით გათვალისწინებული ბავშვის განვითარების ხუთი ძირითადი სფერო: ფიზიკურ-სენსორული, სოციალურ-ემოციური, შემეცნებითი, კომუნიკაციის უნარების, დამოუკიდებლობა და ადაპტირებული ქცევის განვითარება გულისხმობს სწორედ ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას. ეს არის დაუნაწევრებელი პროცესი. სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში ინიციატორი უნდა იყოს ბავშვი. ჩვენი ვალდებულებაა, რომ ყველაფერს ვაკეთებდეთ მისი ინტერესების გათვალისწინებით.

- რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე სტანდარტი აღმზრდელ-პედაგოგებს?

- ბევრი სიახლე იწვევს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებაში. თუმცა მათთვის, რომლებსაც პროფესიული განათლება აქვთ მიღებული, უცხო არაა ის მნიშვნელოვანი თემები, რის საფუძველზეც მოხდა ახალი სტანდარტის დანერგვა. წლებია, ამ საქმეს ვემსახურები, სპეციალობით პედაგოგ-ფსიქოლოგი ვახლავართ, მაგრამ 21-ე საუკუნის მოთხოვნებისა და

მიდგომების დაკმაყოფილება რომ შეეძლოს, მუდმივად საჭიროა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის გავლის შემდეგ აღმზრდელ-პედაგოგს უნდა შეეძლოს: ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელი პროცესის დაგეგმვა და მართვა, ბავშვის განვითარების სტრატეგიების გამოყენება, წარმატებული, უსაფრთხო, მხარდაჭერი გარემოს შექმნა, უნდა უზრუნველყოს ძალადობის პრევენცია, დისკრიმინაციის აღმოფხვრა, იცოდეს თითოეული ბავშვის კვების თავისებურებები, მათთან ურთიერთობისას აუცილებელია, იყოს განხილვისთვის და კეთილგანწყობილი. ეს მოთხოვნათა ის მცირე ჩამონათვალია, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს 21-ე საუკუნის აღმზრდელ-პედაგოგი.

რა თქმა უნდა, ის დრო, რაც დაეთმო აღმზრდელთან ტრენინგების ჩატარებას, საკმარისი არაა და ბევრი თემა დაგვრჩა გასავლელი, თუმცა მათივე თხოვნით, კიდევ ვგეგმავ შეხვედრებს, რათა უფრო ამომწურავად განვიხილოთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ცალკე ტრენინგი მინდა, დაეთმო ზემოთხსენებულ თემას, თუ როგორ ვაქციოთ ეს ყოველივე ბავშვისთვის დღესასწაულად. სკოლამდელი აღზრდა-განათლების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ასევე „თამაშის“ საკითხი, რაც ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს არის პროცესი, რა დროსაც ხდება ბავშვის და მისი ინტერესების აღიარება, ინფორმაციის და ემოციების გაზიარება. თამაში ეს არის აქტივობების ერთობლიობა გარემოსა და საკუთარი თავის შესასწავლად. ბავშვის ზრდასთან ერთად აუცილებელია თამაშების შინაარსი, წესები, ფორმა და აქტივობები იყოს სხვადასხვანაირი და ამავე დროს მისი უნარების განვითარებაზე მიმართული. სავალდებულოა მშობლების ჩართულობა ამ პროცესში. ვგეგმავ, შევხვდეთ მათ და პროფესიული რჩევები მივცე. ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განათლება უნდა იყოს ერთობლივი პროცესი, რათა მეტად განათლებული და ნაკლებად აგრესიული საზოგადოება გვყავდეს მომავალში.

ლელა ბუბულაშვილი

„მოსიარულე სიკეთე“ და „მოსიარულე სიყვარული“ ერთად

იაკობ ტრიპოლსკის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის მის მშობლიურ დაბა ფასანაურის N1 საჯარო სკოლას საქვეყნოდ ცნობილი საქართველოს სახალხო არტისტის სახელი მიენიჭა. ეს ისტორიული დღე ფასანაურში აღინიშნა ხარაგაულის რეზო თაუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის მონოსპექტაკლით „მოსიარულე სიკეთე.“ თეატრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ დაუნიცხარი დღე აჩუქა სტუმარ-მასპინძელს...

100 წელი საკმაოდ დიდი დროა. დღეს ფასანაურში სრულიად სხვა თაობა ცხოვრობს. მათთვის იმ დღეს იაკობ ტრიპოლსკი კიდევ უფრო ახლობელი და მშობლიური გახდა.

მართალია, იმ დღეს ფასანაურში მოთოვა, გარეთ ნოემბრის ცივი ქარი ქროდა და ძალიან ციოდა, მაგრამ სკოლის დარბაზი ქალბატონმა იზა ვეფხვაძის მზით, სითბოთი და სილამაზით აღავსო. მან მოაჯადოვა მაყურებელი და იაკობ ტრიპოლსკის ცხოვრების ეპიზოდები ისეთი არტიზტიზმით გადმოსცა მაყურებელს, რომ მათ თვალები ხან ცრემლით, ხან კი სიხარულითა და სიამაყით ევსებოდათ... ძალიან ემოციურად განიცდიდნენ სპექტაკლს ბატონ იაკობ ტრიპოლსკის ოჯახის წევრები. დარბაზში მყოფი საქვეყნოდ ცნობილი მსახიობები და რეჟისორები აღტაცებას ვერ მალავდნენ, თვალს ვერ წყვეტდნენ იზას მონოლოგის შესრულების მანერასა და იმ დიდ სიყვარულს, რასაც ეს ნიჭიერი ქალბატონი სცენიდან ასხივებდა. როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობმა და რეჟისორმა, პარლამენტის წევრმა ზაზა პაპუაშვილმა აღნიშნა: „რაც მე



დღეს ვნახე, რაც მე დღეს მოვისმინე, ის, რაც ქალბატონმა იზამ „ჩაიღინა.“ ეს იყო სიყვარულის ახსნა. იდგე სცენაზე მარტო, ასეთი ხანგრძლივი დროით, ასეთი ენერჯით, ასეთი მეხსიერებით, ასეთი არტიზტიზმითა და ასეთი სიყვარულით გადმოსცემდე ვრცელ მონოლოგს, თითქმის დაუჯერებელია. დღეს თითქოს ყველას სიყვარული აგვისნა მან, შეგვაგონა, როგორ უნდა გვიყვარდეს... თითქოს სრულიად მოვწყდი სამყაროს და უჩვეულო გარემოში მოვხვდი, უსაზღვროდ ბედნიერი და ამაყი ვიყავი. თითქოს ამ პატარა გოგონების ტოლი ვიყავი და მათ განცდებს ვიზიარებდი...“

სპექტაკლის შემდეგ იყო დიდი მადლიერება, აღტაცება, გაცოცხება. ემოციების

გამოხატვაში ერთმანეთს ეცილებოდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, ბატონები: თემურ ბაბლუანი, ზაზა პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ბატონი შალვა კერესელიძე, განათლების მინისტრის მოადგილე ბატონი შალვა გოგოლაძე, იაკობ ტრიპოლსკის შვილი, ამ უმშვენიერესი წუთებით თითქმის ბედნიერების ზენიტზე მყოფი, ირაკლი ტრიპოლსკი, დედაქალაქიდან და მუნიციპალიტეტიდან მოწვეული სტუმრები, რომლებიც უდიდესი სიყვარულით იხსენებდნენ იაკობ ტრიპოლსკის სახელოვნად განვლილ გზას.

ეს დღე ფასანაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის მუდამ დაუნიცხარი

იქნება, ეს იყო ბრწყინვალე გაკვეთილი, თუ როგორ უნდა ისწავლონ, როგორ უნდა იცხოვრონ, როგორ უნდა ემსახურონ თავიანთ ქვეყანასა და მამულს.

ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა უმშვენიერესი მთიულეთის, იაკობ ტრიპოლსკის ეზოს, არაგვის ქალის ფოტოები, მსახიობის მიერ შესრულებული არაჩვეულებრივი როლები. დაგბრუნდით იმ დროში, რომელშიც ცხოვრობდა საქვეყნოდ ცნობილი და საყვარელი მსახიობი, მთარგმნელი, სახალხო მსაჯული და, უბრალოდ, სინდის-ნამუსით სავეფხვაძე ფასანაურელი ვაჟკაცი იაკობ ტრიპოლსკი, რომელსაც გოდერძი ჩოხელი „მოსიარულე სიკეთე“ უწოდა.

ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს ჩვენს სამშობლოს „მოსიარულე სიყვარული“ - ქალბატონი იზა ვეფხვაძე, რომელიც სიცოცხლესავით სჭირდება ჩვენს გულგაგრძობულ ქართველობას, ქალი, რომელსაც დაარქვეს სიყვარული საქართველოს მთასა და ბარში და ყველას უხვად ურიგებს... მისმა უნიკალურმა ნიჭმა და გულმხურვალე მამულიშვილობამ კვლავაც ბევრი ქართველის „გაცოცხლება“ უნდა შეძლოს. მას ხომ საქართველოში ყველგან იცნობენ, ყველგან ელიან...

დაე, დიდხანს, კვლავ დიდხანს ამშვენებდეს საქართველოს მთასა და ბარს „მოსიარულე სიყვარული“, უნიჭიერესი ქართველი ქალი იზა ვეფხვაძე და ჩვეული გულუხვობით არიგოს ადამიანებისთვის სიყვარული, დიდი სიყვარული!..

მანანა ცოცხალაშვილი,
ფასანაურის იაკობ ტრიპოლსკის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

2019 წლის ბიუჯეტი 7 36 400 ლარით გაიზარდა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხომაზე დეპუტატებმა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს. საკითხის შესახებ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა ისაუბრა. მისი თქმით, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერისა და სამემოსავლო გადასახადის ნაცვლად მუნიციპალიტეტებს საკუთარ შემოსავლად განესაზღვრათ დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ - 19%).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 7625,8 ათასი ლარით. გადასახადებიდან მისალევი შემოსავლები შეადგენს 5 997,8 ათას ლარს, აქედან ქონების გადასახადიდან მისალევი შემოსავალი განისაზღვრა 1050,0 ათასი ლარით და დამატებითი ღირებულების გადასახადი 4 947,8 ათასი ლარით და მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 138,0 ათას ლარით. საერთო ჯამში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი 7 625 800 ლარია, რაც მიმდინარე წელთან შედარებით 736 400 ლარითაა გაზრდილი.

2019 წლისთვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; ინფრას-

ტრუქტურა; კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ ა(ა)იპ-ების დირექტორები და ბუღალტრები, რომლებმაც საკრებულოს წევრების მიერ დასამუშავებულ პროექტს ამომწურავი პასუხები გასცეს. დეპუტატებმა წარმოდგენილი ორგანიზაციების ბიუჯეტი დეტალურად განიხილეს. ისაუბრეს იმ პროგრამებზე, რომლებიც 2019 წელს მათ მიერ უნდა განხორციელდეს. ასევე გაჩნდა ინიციატივა, რომ შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლასა და მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლთან არსებულ სტუდია „ჰარმონიაში“ მოსწავლეთა გადასახადი გაუქმდეს. მათი თქმით, მიუხედავად მწირი გადასახადისა, შესაძლოა, არსებობდეს ოჯახი, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი სახსრები შვილის მუსიკალური განათლების მიღებისათვის.

ა(ა)იპ-ებისათვის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხები ასე გადანაწილდა:

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ - 1 130 000 ლარი;

ა(ა)იპ „მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ - 100 000 ლარი;



ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი“ - 380 000 ლარი;

ა(ა)იპ „შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ - 110 000 ლარი;

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ - 647 000 ლარი;

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ - 50 000 ლარი;

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ - 125 000 ლარი;

ა(ა)იპ „სათნობის სახლი“ - 93 000 ლარი;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა 2019 წლის სოციალური პროგრამებიც განიხილეს. საკითხთან დაკავშირებით სოციალური განყოფილების უფროსმა ალექსანდრე ტაბატაძემ ისაუბრა. მომდევნო წელს სოციალური სამსახური ოთხ ძირითად

და 15 ქვეპროგრამას განხორციელებს, რომელთა დაფინანსება 674 000 ლარი იქნება, რაც გასულ წელთან შედარებით 170 ათასი ლარითაა გაზრდილი.

კომისიის წევრთა მოთხოვნაა, რომ ამოქმედდეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება და სხვა პროგრამებზე გამართულად იმუშაოს.

შეგახსენებთ, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკრებულომ დაასრულა და შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით მერიას გაუგზავნა. მერიამ ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი საკრებულოს 10 დეკემბრამდე უნდა წარუდგინოს. 2019 წლის ბიუჯეტს საკრებულო 25 დეკემბრამდე დაამტკიცებს.

თამარ მაღრაძე

მართლსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმების პოპულარიზაცია სარაგაულის მუნიციპალიტეტში

ა/ო „ნაბიჯი ხარაგაული“ და „საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი“ ახორციელებს პროექტს მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმების პოპულარიზაციის შესახებ, რომელიც სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის „სიდას“ დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს, ესეებისა და ფოტო-ვიდეო კონკურსებში. გამარჯვებულთა დაჯილდოება 22

ნოემბერს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა. კონკურსში ცხრა სკოლის (ლეღვის, ხევის, ზვარის, წიფის, უბისის, ხიდლის, ბაზალეთის, N3 საჯარო და მშენა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის) 21 მოსწავლე ჩაერთო. დაინერა 18 ესე, მომზადდა ორი ვიდეორგოლი (ხევისა და ვაშლევის საჯარო სკოლები) და ერთი ფოტო ნამუშევარი (ლიზი ლაცაბიძე და გიორგი კვირიკაშვილი) შეიქმნა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ესეების კონკურსში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლემ მარიამ მანჯავიძემ გაიმარჯვა. შეფასების შედეგად მაღალი ქულები აიღეს მარიამ მაღრაძემ (ლეღვის საჯარო სკოლა), კესო ჩხიკვაძემ (ბაზალეთის საჯარო სკოლა) და დავით ტაბატაძემ (ხევის საჯარო სკოლა).

გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, ა/ო „ნაბი-

ჯი ხარაგაული“ ხელმძღვანელმა რუსუდან გურგენიძემ, „საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის“ წარმომადგენელმა ინგა მაღრაძემ და ჟიურის წევრებმა გადასცეს.

შეხვედრაზე მოსწავლეთა შორის გაიმართა დისკუსია. საუბარი ძირითადად ბუღინგის თემას შეეხო. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ პრობლემის დაძლევაში ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

თამარ მაღრაძე

საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტად დავით გველეხიანი დაინიშნა



ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტად დავით გველეხიანი დაინიშნა, რომელიც გასაზრების შედეგად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეარჩია.

დავით გველეხიანი ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა დაამთავრა, რის შემდეგაც სწავლა ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. დავითი მუშაობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონულ სამმართველოში და ასევე „ქართული ოცნების“ ხარაგაულის რაიონულ ორგანიზაციაში იურისტად. ამჟამად მას ევალება, იურიდიული მომსახურება გაუწიოს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და მუნიციპალიტეტის სკოლებს.

„საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ სულად მაქვს გათავისებულება და დიდი პასუხისმგებლობა. რესურსცენტრის თანამშრომლები კვალიფიცირობითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან და მიმაჩნია, მათთან მუშაობა საინტერესო და სასიამოვნო იქნება.“ - განმარტა დავით გველეხიანი.

თამარ მაღრაძე

სარგავული უნაკლო, დასუფთავის გადსახადი

ხარაგაულში შესაძლოა, დასუფთავების გადასახადი დაწესდეს. ამის შესახებ დეპუტატებმა 15 ნოემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბურაძემ წარადგინა. ბერძნის თქმით, დასუფთავების გადასახადი პირველ ეტაპზე დაბისა და პატარა ხარაგაულის მოსახლეობას დაეკისრება, შემდეგ კი მთელს მუნიციპალიტეტს მოიცავს. გადასახადი ოჯახში ჩანერილ ერთ სულ მოსახლეზე 50 თეთრით განისაზღვრება, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის 20 თეთრი იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში თბილისში მცხოვრებ ჩანერილი, გადასახადს მხოლოდ ოთხ პიროვნებაზე გადაიხდის.

დაწესდება თუ არა ხარაგაულში დასუფთავების გადასახადი ამ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატები გადამწყვეტილებას 3 დეკემბრის გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

ხევი-უბისის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობა იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ხევი-უბისის 12, 200-მეტრიანი მონაკვეთზე 4-ზოლიანი ავტობანი მოეწყობა. აღნიშნულ მონაკვეთზე 35 ახალი ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობა იგეგმება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია განახორციელებს, რომელსაც მუშაობის გამოცდილების 64 - წლიანი ისტორია აქვს. მის მიერ აშენებულია: 1 000-ზე მეტი მასშტაბური სიდიდისა და სირთულის ხიდი, მთლიანი სიგრძით - 330 კმ; 4 000 კმ-ზე მეტი სიგრძის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე - საზღვარგარეთ; 203 გვირაბი, რომელთა საერთო სიგრძე 168 000 მეტრია.

შეგახსენებთ, რიკოტის უღელტეხილზე დაგეგმილია ახალი ალტერნატიული 51.6 კმ-ზე სიგრძის გზის მშენებლობა. პროექტი მოიცავს 96 ხიდისა და 53 გვირაბის მშენებლობას. რიკოტის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა დაყოფილია 4 სექციად: ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი (I სექცია) 11.7 კმ, ხევი-უბისის მონაკვეთი (II სექცია) 12.2 კმ, უბისა-შორაპნის მონაკვეთი (III სექცია) 13 კმ. შორაპანი-არგეთის მონაკვეთი (IV სექცია) 14,7 კმ.

რიკოტის მოდერნიზება ხელს შეუწყობს ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობისა და სატრანსპორტული ტვირთბრუნვის ზრდას, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას და მგზავრობის დროის შემცირებას.

რიკოტის საუღელტეხილო მონაკვეთი E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთია.

ეკა შაშიძე

„ურევნეთ „მერანი“ და „კახორი“ მსოფლიოს და ომი აღარ იქნება !..“

ძვირფასო მკითხველო! ბუნებრივია, იცანი ამ სათაურის მსგავსება იმ ადრეთოვანების გამოხატულ სიტყვებთან, რაც ერთ-ერთმა ცნობილმა პიროვნებამ წარმოთქვა ანსამბლ „მზურის“ (პირველი თაობა) კონცერტის ნახვის შემდეგ. მსგავსი (შეიძლება ითქვას, უფრო გადაჭარბებულიც!) ემოცია დამეფულა, როცა „მერანისა“ და „კახორის“ ერთობლივ კონცერტს დავესწარი ხარაგაულის კინოთეატრში.

სცენაზე ერთა შორის სიყვარულის დიდი კოცონი ენო. შეიძლება ასმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ვერ გვიჩვენოს მშვიდობისკენ მიმავალი გზა ისე, როგორც ეს ხდებოდა სცენაზე, ძალზე მარტივად და შთამბეჭდავად. მე იმ წუთებში იქ დიდი ვაჟა დავინახე გენიალური სიტყვებით: „გიყვარდეთ, კაცონ, ერთმანეთი!“, დიდი რუსთველი დავინახე - „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული - გზად და ხიდად.“ ემოცია კიდევ უფრო გამძლიერდა, როცა უშუალოდ ვესაუბრეთ ერთ კარგ ხარაგაულელ ვაჟკაცს, ანსამბლ „კახორის“ წევრს, ლევან გოლობიანს. მას ხომ გამოჩნული ურთიერთობა აკავშირებს პოლანდიელებთან. როცა ლევანმა თავისი ბედი ქალბატონ ქეთევან ნაბიერელს დაუკავშირა, ამსტერდამიდან 40 კილომეტრი უწინა, რომელთაც სხვა ეშვი და ხილი შეჰმატეს გოლობიანების ოჯახში ქართულ ტრადიციულ ქორწილს...

2011 წელს იგონებს ლევან-როცა სოხუმის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-პოეზიებით ჩვენს უნივერსიტეტში შეიქმნა ანსამბლი „სნოს“, რომლის ხელმძღვანელიც იყო ქალბატონი ქეთევან ნიკლაური (ამჟამად ანსამბლ „მერანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი). ანსამბლის რეპერტუარში შევიდა საქართველოს სხვადასხვა ეპოქის სიმღერები, რასაკვირველია, ქართული ინსტრუმენტების თანხლებით. მოგესვენებათ, ხელოვნება ისეთი სფეროა, რომლისთვისაც არ არსებობს ბარიერი ხალხთა შორის კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად. ასე მოხდა ამჯერადაც ჩვენი და პოლანდიელების ურთიერთობაში...

ამსტერდამში რადენიმე ანსამბლი. ერთ-ერთი „სლაუვი ამსტერდამი“, რომელიც დაინტერესებულია სხვადასხვა ქვეყნის ხალხური სიმღერებით. განსაკუთრებული აღმოჩნდა მათი სწრაფვა ქართული ხალხური სიმღერების დაუფლებასკენ.

2012 წელს საქართველოში იყო ჩამოსული „სლაუვი ამსტერდამის“ რადენიმე წევრი, რომელთაც მოს-

მინეს ანსამბლ „სნოს“ სიმღერები, ძალიან მოეწონათ, დაუკავშირდნენ ქალბატონ ქეთევან ნიკლაურს და მეორე წელს უკვე ერთობლივი კონცერტი გაემართეთ. უკვე მეხუთედ ვიყავით პოლანდიაში და, თურა დადებითი შედეგი მოჰყვა ჩვენს ურთიერთობებს, თქვენ უკვე ნახეთ „მერანისა“ და „კახორის“ მიერ ხარაგაულში გამართული კონცერტით.

ტექსტი - საშობლო მონატრები დაფარული გულთა მარადიული სავანა

როგორც ცნობილია, ქართველთათვის ყოველი დროის სანუკვარი ოცნება იყო თავისუფლება. საუკუნეების განმავლობაში თავისუფლებისაკენ ლტოლვა გაგვიძლირა ათასი ჯუროს დამპყრობლებთან ჭიდილში. თუმცა აღნიშნულ ოცნებას არც იმ შემთხვევაში დამორბობა ქართველის მოდგმა, როცა სხვის მიწაზე უხდებოდა ბრძოლა. ამის გამოა, რომ ისტორიის ქარტეხილებით ბევრი ქართველის სამარადისო ძვალთმეხალადაც იქცა უცხო მიწა. ამ კუთხით ლევანთან ჩემმა საუბარმა ტექსტისაკენ აიღო მიმართულება.

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში გავეცანი ისტორიიდან, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა სამხედრო ტყვეების ქართველ ბატალიონის წევრებს კუნძულ ტექსელზე აჯანყება მოაწყვეს საუბრობს ლევანი ფაშისტთა დიდ დესანტს არნახულ წინააღმდეგობას უწევდნენ სამშობლოსთან შეხვედრას მონატრებული ქართველი პატრიოტები. მათ დასახმარებლად ინგლისელებსაც უნდნენ, მაგრამ ამაოდ. უთანასწორო ბრძოლას 500-ზე მეტი ქართველი შეეწინა. ჩვენს თანამემამულეებს დიდ დახმარებას უწევდნენ პოლანდიელები, ამიტომ ფაშისტები მათაც სასტიკად გაუსწორდნენ. დალუპებული ტექსელის ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ...

მოსწავლეობის წლებშივე ვნახე 1968 წელს რეჟისორ შოთა მანაგაძის მიერ გადაღებული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“, რომლის სცენარის ავტორიცაა ხარაგაულის საამაყო მკვიდრი რეზო თაბუკაშვილი.

რას ვიფიქრებდი, რომ გავიდოდა წლები და მომეცემოდა საშუალება, ვწვეოდი ტექსელს ოჯახის წევრებთან ერთად (მეუღლე, და, ძმა). ვერ წარმოიდგენთ, როგორ უკლიან და პატრონობენ პოლანდიელები ქართველთა საფლავებს. ეს წმინდა ადგილი მათ მომავალ თაობათათვის პატრიოტული აღზრდისა და ერთა შორის თბილი ურთიერთობის გაღვივების კერად აქციეს...



რაც შეეხება ანსამბლ „კახორს“, რომლის ლობტარიც არის ნიჭიერი ახალგაზრდა ალექო მიქელაძე, დიდი ერთუზიანობითაა გამსჭვალული, რომ სრულყოფილი თავისი რეპერტუარი და, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, ითანამშრომლოს „მერანთან“. „კახორი“ ძირითადად ანსამბლ „საუნჯის“ (ხელმძღვანელები დალი და მათა მალრადეები) მიერ დაფრთხილებული ჭაბუკები არიან.

დღეს „კახორის“ ღირსებას იცავენ: ოთარ ფურცელაძე, დემეტრე ჩიკვაძე, გიორგი ბერაძე, ნიკოლოზ კვაშილაძე, ალექო მიქელაძე, ლევან გოლობიანი, ნიკოლოზ შარიქაძე, გიორგი ხატიანაშვილი, ზურაბ კახიძე. (ეს ორი თბილისის მკვიდრია) რეპერტუარს უფრო ხშირად თბილისში ვატარებთ, მაგრამ პრიორიტეტი ჩვენთვის მაინც ხარაგაულია...

ქეთევან ნიკლაური - ანსამბლ „მერანის“ ნათლია!

ანსამბლი „მერანი“ ძალიან ახალგაზრდაა. ამ სახელწოდებით ის 2018 წლის დასაწყისიდან მოვლინა ხელოვნების სამყაროს. „მერანის“ დირიჟორი ცნობილი ხელოვანი იყო ბოსვიაკოა. ანსამბლი ამსტერდამის მოყვარულ მომღერალთა 22 წევრს აერთიანებს. ისინი სხვადასხვა პროფესიის პიროვნებები არიან, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი - სიმღერის უსაზღვრო სიყვარული აერთიანებთ. საოცარია მათი ნიჭიერება, და ამის შესატყვისად, ანსამბლის რეპერტუარი.

ხარაგაულის მაცურებელს არასდროს გაუწივდებოდა ის ემოცია, რაც „მერანისა“ და „კახორის“ ერთობლივი კონცერტით მიიღო. რა საოცარი გრძობით ეფერებოდნენ ანსამბლის წევრები თითოეულ ქართულ სიტყვას, სიმღერის ტექსტს, მელიოდისა... გვერდით მჯდომი მაცურებელი მეუბნება: - წამიერად დახუჭეთ თვალი, მზერა მოაშორეთ ანსამბლის წევრთა სიკეთით მეტყველ სახეებს და ისე მოუსმინეთ სიმღერას. წამდვილად მოგეჩვენებათ, რომ თქვენ უსმენთ არა უცხო ენაზე მოსაუბრე უცხო ქვეყნის შვილთა მიერ შესრულებულ სიმღერებს, არამედ

იგრძნობ, რომ სცენაზე იმერლები, კახელები, მეგრელები, გურულები, აფხაზები, ოსები მღერავენ...

აქედან გამომდინარე, სასებით ბუნებრივი იყო ის პათოსი, ის უკედევანო სიამოვნება, რაც გამოხატეს თავიანთი შთაბეჭდილებებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მალრადემ, მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე მხვიდემ, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახლში ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ.

ქალბატონო ქეთევან!

თქვენ, მოღვაწეობის სხვა მრავალ სფეროშიც ერთად, გქვიათ საოცარი სტატუსი - ანსამბლ „მერანის“ ნათლია! თქვენი ნათლიობით პოლანდიელთათვის კიდევ უფრო ახლოდელი გახდა ქართველი ბრძენი ჭაბუკი - ნიკოლოზ ბარათაშვილი. მათ სულთა თანაზარად იქცა მისი ლირიკული შედეგის დაუმორჩილებლობისა...

ავგურებ, თქვენს ქართველობას, თქვენს ნათლობას, ქალბატონო ქეთევან!

დაიხ, სიყვარულით ჩამოაქროლა „მერანმა“ მეგობრობითა და კეთილ საქმეთა წედობით დაინტერესებული პოლანდიელები, დაამომბოლა „კახორთან“, რომ სულთა ერთობით „გაჰკვეთონ ქარი, გააპონ წყალი“ და ამაღლებულ სულიერ ღირებულებებს აზიარონ მოყვასი.

მწანს, არჩილ მალრადის მიერ ნაწუქარი ქართული ღვინით აუცილებლად დაილევს ამსტერდამში, შაგამში, ტექსელზე მომავალ ბედნიერ დღეთა სადღეგრძელო...

დღე, ვერაფერს მისწვდეს „მერანის“ სწრაფსა, მისი კეთილი გზებით სრბოლას, „თვალბეჭდითა ყოიწარნი“!

გვარავდეთ ხარაგაულის ერთ-ერთი წმინდა სალოცავის კახორის (რომლის სხვადასხვა ატარებს ჩვენი ანსამბლი) მადლი და ძალი! სიყვარულმა, ძმობამ და მეგობრობამ სძლიოს ქვეყნად ბოროტებსა და იზეიმოს სიკეთემ, რადგან „არსება მისი გრძელია!“

ჭეშმარიტად!
მერი მიორბიძე

დეპუტატებმა ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის (თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი) სხდომაზე დეპუტატებმა მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. როგორც მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, 2018 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილი 11 991,7 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 7 234,2 ათასი ლარის შემოსულობები, გეგმა კი 60,3%-ით შესრულდა. რაც შეეხება გადასახადების ნაწილს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვლადიმერ გელაშვილი ამბობს, რომ ბიუჯეტი ამ ნაწილში 151,1%-ით შესრულდა. რაც იმას ნიშნავს, რომ დაგეგმილი 296,5 ათასი ლარიდან მიღებულია 447,9 ათასი ლარი; საშემოსავლო გადასახადი 146 500 ლარის ნაცვლად მიღებულია 202 000 ლარი; სანარმოთა ქონების გადასახადი 150 ათასი ლარის ნაცვლად - 202 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - 4500 ლარი.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს. ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე იუზა (ვალიოდა) კლდენჯერძიძე დაინტერესდა ამ დროისთვის ჯარიმებიდან შემოსული თანხის ოდენობით, რაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა განმარტა, რომ 9 თვის მონაცემებით ჯარიმებიდან სულ 767 ათასი ლარი შემოვიდა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძემ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით უწყაიროფლება გამოთქვა. მისივე თქმით, ამ მიმარ-



თულებით შესრულების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

ინფრასტრუქტურულ საკითხებს შეეხო ასევე კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე. დეპუტატის ინფორმაციით, მოსახლეობა დიდი ხანია, ითხოვს საღამომი ხიდ-ბოგირის გაკეთებას, თუმცა ტენდერი ამ დრომდე ვერ შედგა. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე ამბობს, რომ ლახუზდარის გზის მშენებელი კომპანია დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. კომპანია სამუშაოები მიატოვა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი ვალდებულება აიღო. ფხალაძის თქმით, ამ კომპანიას არა მხოლოდ ჯარიმა უნდა დაეკისროს, არამედ ხელშეკრულებაც უნდა შეწყდეს.

„მერიას აქვს ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება და ეს უშუალოდ მერის გადაწყვეტილებაა. მენარმეს რომ ხელშეკრულება შეუწყდეს, ამისათვის საჭიროა, მისმა ჯარიმამ

პროექტის საერთო ღირებულების გარკვეულ პროცენტს მიაღწიოს. კომპანიას კი სამუშაოების შესასრულებლად ვადა აქვს.“ - განმარტა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა.

ხუნევას ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლენა აბაშიძემ ზუიწევის გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ისაუბრა. მისი განმარტებით, თუ დროულად არ დაინიშნა სამუშაოები, პროექტის შესრულებას უამინდობა შეუშლის ხელს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს შეეხო და განმარტა, რომ „ბაზალეთში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილია თანხები ორ უბანზე - ქვედა ნაწილაშვილებისა და დევიარიანების საუბნო გზებზე. თანხა გამოიყო მთავრობის მიერ 2017 წლის ბოლოს, და ტენდერი ჯერაც არ არის გამოცხადებული. ჩვენ მოსახლეობასთან ვართ პასუხისმგებლები. 11 თვის განმავლობაში ორი საუბნო გზა ვერ გაკეთდა.“ - დასძინა ჭიპაშვილმა. დეპუტატმა სოციალური მიმართულების გააკეთა კომენტარი. იგი მიიჩნევს, რომ ცხრა თვეში ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით გაცემული 900 ლარი არასაკმარისია. „არაინა ოჯახები, რომელთაც არც სოციალური დახმარება და არც პენსია არ აქვთ. ჩვენ დავამტკიცეთ პროგრამა მათ დასახმარებლად, რომელიც ვერ განვახორციელებთ. ჩვენი მიზანია, რომ ეს ურატეკა გამოიყენონ სამომავლოდ და მსგავსი შედეგი არ მივიღოთ.“

თამარ მაღრაძე